სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/59

ქ. თბილისი 24 ნოემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონებების იჯარით გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2025 წლის 14 ნოემბრის №0001614251 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 24 ნოემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, იჯარის უფლებით გასცეს:

ა) მე-8 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 1,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ.თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.№77; ს/კ 01.10.13.023.055) 2 წლის ვადით, მრავალფუნქციური თვითმომსახურების ყავის აპარატის განთავსების მიზნით;

ბ) პირველი სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 1,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ.თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.№68; ს/კ 01.10.17.041.016) 2 წლის ვადით, მრავალფუნქციური თვითმომსახურების ყავის აპარატის განთავსების მიზნით;

გ) პირველი სასწავლო კორპუსის მე-4 სართულზე არსებული 1,5 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ.თბილისი, მერაბ კოსტავას ქ.№68; ს/კ 01.10.17.041.016) 2 წლის ვადით, მრავალფუნქციური თვითმომსახურების აპარატების (ყავის და სნექის აპარატები) განთავსების მიზნით;

დ) მე-11 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე არსებული 1 კვ.მ. ფართი (მდებარე: ქ.თბილისი, დავით გურამიშვილის ქ.№17; ს/კ 01.12.09.017.052) 2 წლის ვადით, მრავალფუნქციური თვითმომსახურების ყავის აპარატის განთავსების მიზნით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**